I also urge that good faith be all-inclusive and present in each and every mediation, regardless of context. Otherwise, we will be left with a double standard in which mediation will mean one thing in one case, and something else in another.

Yet having said that it is imperative for good faith to be a part of every mediation, it is likely that a good faith requirement would be established first in court-annexed matters. In these cases, there is more control over the parties and the process. As implemented, good faith should be required from all participants, not just the lawyers. Again, however, reality directs that the likelihood of directing lawyer change is greater than altering participant conduct.

The good faith requirement could be established by legislation, court rule, rules of conduct for lawyers or rules of practice in mediation. As a requirement of the mediation process, it is important that the necessity of good faith be communicated to the participants prior to mediation. Therefore, a good faith element should be included as an integral part of the description and definition of the mediation process itself.

In current practices, even where no good faith requirement exists, it is commonplace that the mediator, during her introductory remarks, elicit a commitment from the participants to participate in good faith. Mediators generally request this from all participants, including the parties to the dispute as well as their representatives or agents in negotiation, who are usually lawyers. Signing an agreement to mediate, which includes a good faith provision, is customary.

6. Informing the Court

Procedurally, in the court-annexed context, enforceability is likely to be dictated by the court. In other cases, the mediator will undertake the duty to enforce good faith if no pending lawsuit exists. In that instance, each mediator may have discretion in how she chooses to enforce the good faith commitment. Where the court will make the decision as to whether good faith was present, the mediator need only provide specific information to the court. A checklist of sorts that corresponds to specific objective criteria could be sent to the court.

A key to good faith conduct in mediation is education. When participants in mediation, whether the disputing parties or representatives, are not knowledgeable about the process--its theory, goals and objectives--expectations are absent at best. In other cases, the process is more difficult because the participants come with unrealistic expectations of the role of the mediator or possible outcomes. To direct one to negotiate or mediate, as many courts do, without offering more information or direction is futile. The first step in changing behavior is education. Currently, the general public is not familiar with mediation, and educational efforts must continue. Moreover, specific process education must take place in advance of each particular mediation.

Whether called good faith, "meaningful participation" or another similar term, some action to require a specific conduct conducive to the mediation process must be required. Whether by court rule,

legislation or a code of ethics, such an obligation should be implemented. And the duty of good faith should extend to the parties as well as their attorney representatives.

Since it is less difficult to control the bar, and the representative lawyer's conduct significantly influences the mediation, change must begin there. Lawyers have demonstrated a need and custom of governance by a set of rules or standards. But those currently in effect are not appropriate for some alternative forms of dispute resolution, particularly mediation. If mediation is to survive as a formidable, unique process with the characteristics remaining that have made it a process that results in party satisfaction, then practices regarding participants' conduct in mediation must change. To require good faith is one suggestion and a step in the right direction. The road will not be an easy one, but the road less traveled initially, can make all the difference. [FN11]

[FN1]. Kimberlee K. Kovach teaches law and directs a mediation clinic at the University of Texas School of Law in Austin. She is chair of the ABA Section of Dispute Resolution.

*This article is excerpted from a more expansive exploration of this subject. See Kimberlee K. Kovach, **Good Faith** in Mediation: Requested, Recommended or Required?: A New Ethic 38 S. Tex. L. Rev. 575 (1997). The view expressed herein are those solely of the author and in no way should be imputed to the Section at large.*

[FN1]. See Milton Heumann and Jonathan M. Hyman, *Negotiation Methods and Litigation Settlement Methods in New Jersey*: "You Can't Always Get What You Want," 12 Ohio St. J. on Disp. Resol. 253 (1997).

[FN2]. See Decker v. Lindsay, 824 S.W.2d 247 (Tex. Ct. App. 1992).

[FN3]. Edward F. Sherman, *Court-Mandated Alternative Dispute Resolution: What Form of Participation Should Be Required?*, 46 SMU L. Rev. 2079, 2096 (1993)

[FN4]. IOWA CODE ANN. §654A.11(3) (1995); see Graham v. Baker, 447 N.W. 2d 397 (1989).

[FN5]. David S. Winston, *Comment, Participation Standards in Mandatory Mediation Statutes: "You Can Lead A Horse to Water...."*, 11 Ohio St. J. on Disp. Resol. 187, 193-205 (1996).

[FN6]. *Jacobellis v. State of Ohio*, 378 U.S. 184, 197 (1964).

[FN7]. MINN. STAT. ANN. §583.27 (West 1996).

[FN8]. Sherman, *supra* note 5, at 2082.

[FN9]. Robert J. Condlin, *Bargaining in the Dark: The Normative Incoherence of Lawyer Dispute Bargaining Role*, 51 MD. L. REV. 1 (1992); Jonathan M. Hyman, *Trial Advocacy and Methods of Negotiation: Can Good Trial Advocates Be Wise Negotiators?*, 34 U.C.L.A. L. REV. 863 (1987).

[FN10]. CHARLES B. CRAVER, *EFFECTIVE LEGAL NEGOTIATION AND SETTLEMENT* 109-110 (2d ed. 1993). See also GERALD R. WILLIAMS, *LEGAL NEGOTIATION AND SETTLEMENT* 49-51 (1983).

[FN11]. Apologies to Robert Frost.

ალვოკატთა ეთიკა მედიაციაში: კეთილსინდისიერების საჭიროება (კეთილსინდისიერების მოთხოვნის ღრმად)

არბიტრაჟი, მედიაცია, შეთანხმება და დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სხვა ფორმები

მედიაციის შენარჩუნების მიზნით დავის გადაწყვეტის ჭეშმარიტად განსხვავებულ ნიმუშად ჩვენ უნდა ჩამოვყალიბოთ და დავნერგოთ კეთილსინდისიერების პრინციპის მოთხოვნა პროცესში.

მედიაცია, როგორც პროცესი, საშუალებას აძლევს დავაში ჩართულ მხარეებს, განიხილონ თავიანთი პოზიციები, ინტერესები და დავის გადაჭრის ვარიანტები. დავის პროცესი ემყარება კომუნიკაციას ურთოებრთგაგების მისაღწევად, რაც ორივე მხარისთვის დამაკმაყოფილებელი შედეგის მიღების წინაპირობაა. ეს არის უმნიშვნელოვანესი ცვლილება ტრადიციულ, შეჯიბრებითობის პრინციპზე დამყარებულ, სისტემაში. წესები და დირექტივები, რაც დამახასიათებელია დაპირისპირებულ, მესამე პირის გადაწყვეტილების შედეგზე დამყარებული სისტემისთვის, გამოუსადეგარია ინტერესებზე დაფუძნებული და პრობლემის ერთობლივად გადაწყვეტაზე ორიენტირებული პროცესის დროს.

მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ადვოკატები ინფორმირებული არიან დავის ალტერნატიულად გადაწყვეტის პროცედურაზე, პრაქტიკაში, ისინი მაინც აგრძელებენ კარგად აპრობირებულ ქცევებს, რომლებიც ხელს არ უწყობს პროცესის მომრიგებლურად წარმართვას. კვლევებმა გვიჩვენა, რომ ადვოკატებს უჭირთ, სურვილის მიუხედავად, მოლაპარაკებების დროს ერთობლივად მოაგვარონ პრობლემები.²

მედიაციის გამოყენებამ პრაქტიკაში იმატა, რის შედეგადაც ის ჩამოყალიბდა იურიდიული სისტემის ერთ-ერთ კატეგორიად. თუმცა, სამწუხაროდ, მედიაციაშიც გრძელდება ურთიერთდაპირისპირება. პროცესი ამ კუთხით ხშირად კარგავს ისეთ დამახასიათებელ დადებით თვისებებს, როგორცაა მხარეთა მონაწილეობა და კრეატიული მიდგომა, რის შედეგადაც მიიღწევა ორივე მხარისთვის დამაკმაყოფილებელი შედეგი.

მინდა თავი შევიკავო წესების დადგენისაგან, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მედიაციის პროცესში მოქნილობა უმნიშვნელოვანესია. იმისათვის, რომ მედიაციამ განყენებულ ინსტიტუტად იარსებოს, საჭიროა წესები, რომლებიც იძლევა იმის გარანტიას, რომ მონაწილეთა ქცევები შესაბამისობაში იქნება პროცესის მიზნებთან. აქედან გამომდინარე, უნდა დაინერგოს ისეთი წესები, რომლებიც დაარეგულირებს მედიაციის მონაწილეთა ქცევას. ამ ყველაფრის გარეშე მედიაცია წარუმატებელი იქნება.

¹ კიმბერლი კოვაჩი ასწავლის სამართალს და ხელმძღვანელობს მედიაციის კლინიკას ოსტინში მდებარე ტექსასის უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში. იგი არის ABA-ის დავის მოგვარების განყოფილების თავმჯდომარე.

ეს სტატია წარმოადგენს ამონარიდს აღნიშნული საკითხის უფრო საფუძვლიანი კვლევიდან. იხ. Kimberlee K. Kovach, **Good Faith in Mediation: Requested, Recommended or Required?: A New Ethic** 38 S. Tex. L. Rev. 575 (1997). აქ გამოთქმული მოსაზრება წარმოადგენს ცალსახად ავტორისეულს და არცერთ შემთხვევაში არ ეხება მთლიან პარაგრაფს.

² იხ. Milton Heumann and Jonathan M. Hyman, **Negotiation Methods and Litigation Settlement Methods in New Jersey: "You Can't Always Get What You Want,"** 12 Ohio St. J. on Disp. Resol. 253 (1997).

სტატიაში თავდაპირველად განვიხილავ, თუ რატომ არის წესების მოთხოვნა საჭირო, მიუხედავად იმ სავარაუდო სირთულეებისა, რომლებიც მათ დანერგვასთან იქნება დაკავშირებული. შემდეგ შევეცდები, აღვწერო, რა იგულისხმება “კეთილსინდისიერების” საჭიროებაში. ასევე განვიხილავ იქნება დანერგვის მეთოდები და ის სავარაუდო შედეგები, რაც შეიძლება მოჰყვეს ამ მოთხოვნის უგულებელყოფას.

1. რატომ არის საჭირო ნორმები

სანამ კეთილსინდისიერების მოთხოვნას და ამ მოთხოვნის გონივრულობას განვიხილავთ, უნდა გავანალიზოთ სისტემაში ამ ელემენტის არარსებობის ფაქტი. ხშირად მედიაცია გამოიყენება იმ ვარაუდით, რომ მას თან სდევს კეთილსინდისიერება. თუ გადავხედავთ როგორც მედიაციის შესახებ აკადემიურ, ასევე პრაქტიკაზე ორიენტირებულ ლიტერატურას, მედიაციის პროცესში კეთილსინდისიერების პრინციპი ყოველთვის იგულისხმება.

მიუხედავად ამისა, აზრთა სხვადასხვაობა ნარმოიშვა ტეხასში, როდესაც სააპელაციო სასამართლომ ნათლად განაცხადა, რომ არ არის აუცილებელი მედიაციაში დაცული იყოს კეთილსინდისიერება – ყოველ შემთხვევაში სასამართლოს მხრიდან კეთილსინდისიერების იძულება ცალსახად გამოირიცხა.³ ამგვარად, მედიაცია ითვლებოდა სასამართლოსკენ მიმავალ სამართალწარმოების ერთ-ერთ ნაბიჯად. ეს მოსაზრება ნაწილობრივ გამოწვეულია მედიაციის ასიმილიაციით სასამართლო სისტემასთან.

თუმცა, თუ კეთილსინდისიერი მონაწილეობა იქნებოდა მოთხოვნილი, მაშინ მედიაცია იქცეოდა განსხვავებულ პროცესად, რომელიც ისეთ განმარტებებთან იქნებოდა შეთავსებული, როგორცაა მხარეთათვის დახმარება მათთვის დამაკმაყოფილებელი ან მისაღები გადაწყვეტილების მიღწევაში და ასევე მათი ურთიერთობების და პოზიციების მიმართ ახალი შეხედულებების ჩამოყალიბებაში.

დავის მოგვარება ამერიკის შეერთებულ შტატებში უმეტესწილად კვლავ ეფუძნება მოგება-წაგების პრინციპს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მედიაცია არის შანსი მხარეებისთვის, ერთობლივად შეძლონ დავის მოგვარება. შეჯიბრებითობის პრინციპის კონტექსტში ადვოკატები მალევე სამართლებრივ ჭრილში აქცევენ საგანს და მას იურიდიული ცნებების გამოყენებით განიხილავენ. მედიაცია იძლევა საშუალებას, პრობლემას შევხედოთ ფართო ჭრილში და შემოქმედებითად მივუდგეთ მის გადაწყვეტას. სამართალწარმოების პროცესში იმ ინფორმაციის შეგროვებას, რომელსაც სასამართლო პროცესამდე არ უზიარებენ მხარეები ერთმანეთს, დიდი დრო სჭირდება. მედიაცია კი ემყარება ინფორმაციის გაცვლას, გულახდილ გახსნას, კეთილსინდისიერებას და და ორივე მხარისთვის მომგებიანად საქმის გადაწყვეტას.

დადებითი მხარე, რომელიც, დავის ალტერნატიული გადაწყვეტისაგან განსხვავებით, არ გააჩნია სასამართლოს, შეთანხმებაა. ეს დადებითი მხარე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სხვა საშუალებებიდან ყველაზე მეტად აისახება მედიაციაში. დავის ალტერნატიულად გადაწყვეტის განსაკუთრებული მახასიათებლებია: ინტენსიური დიალოგი, პრობლემის ერთობლივად გადაჭრა, შეთანხმების რეალობასთან შესაბამისობის შემოწმება (ე.წ. reality testing), უფლებამოსილებით აღჭურვა, მოქნილობა და ორმხრივად დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტილების მიღება.

მე ეჭვი მეპარება იმაში, რომ ეს მახასიათებლები ეფექტური იქნება ისეთ გარემოში, სადაც არ არსებობს კეთილსინდისიერება. მაგალითად, თუ მედიაციაში ერთ-ერთი მხარე ეცდება ინფორმაციის დამალვას და არ გაამხელს მას, როგორ უნდა შედგეს ურთიერთთანამშრომლობა? ან თუ ერთი მხარე არ წავა კომპრომისზე, როგორ უნდა ველოდოთ იმას, რომ მეორე ამას გააკეთებს? შეჯიბრებითობის პრინციპის გათვალისწინებით, მედიაციის პროცესის უმეტესი ნაწილი სამართალწარმოების კონტექსტში ტარდება. პროცესის მონაწილეები, რომლე-

³ ob. Decker v. Lindsay, 824 S.W.2d 247 (Tex. Ct. App. 1992)

ბიც ექცევიან შეჯიბრებითობის პრინციპის ზეგავლენის ქვეშ, იყენებენ ტაქტიკას, რომელიც განაპირობებს ამ შეჯიბრებითობას. შედეგად, სადაც არ არსებობს მორიგების მცდელობა, იქ პროცესი იშლება.

თუ მედიაციის პროცესის დასუსტების ტენდენცია გაგრძელდება, მედიაციის პროცესი შეიცვლება და მიუახლოვდება შეჯიბრებითობის ფორმატს. ეს გარკვეული ხარისხით უკვე ხდება კიდევ. მედიაცია, როგორც დავის ალტერნატიულად მოგვარების ერთ-ერთი ხერხი, ნელ-ნელა სუსტდება, რადგან ადვოკატები მას იყენებენ როგორც კიდევ ერთ საბრძოლო იარაღს საქმის მსვლელობის პროცესში.

მედიაციის გაჭიანურების მაგალითები პრაქტიკაში მრავლად მოიძებნება. ერთ-ერთი მაგალითია მედიაციის დანიშვნა მხოლოდ იმ მიზნით, რომ სასამართლო პროცესზე მეორე მხარის პოზიციის ეფექტურობა შეაფასონ. არის შემთხვევები, როდესაც ფინანსურად ძლიერი მხარეები ცდილობენ, მედიაციის გამოყენებით კიდევ უფრო დაასუსტონ სუსტი მონინალმდეგეები.

მეორე მაგალითია მედიაციის პროცესში თაღლითობა და ცრუ-ნარმომადგენლობა: როდესაც ერთი მხარე შეთანხმდება ისეთ პირობაზე, რაზეც სხვა შემთხვევაში უარს იტყოდა, ან მოტყუება იმ მხრივ, თუ ვინ ესწრება დავას, მაგალითად, ნაფიც მსაჯულთა მრჩეველი.

2. გადასალახი დაბრკოლებები

კეთილსინდისიერების პრინციპის დანერგვას რამდენიმე ფაქტორი უშლის ხელს. თუმცა ამ ფაქტორების დაძლევა შესაძლებელია და საჭიროც, რათა მედიაციამ არ მიიღოს ისეთი უბრალო პროცედურული ხასიათი, როგორცაა მტკიცებულებათა შეგროვების პროცესი და რომელიც ერთვის სასამართლო განხილვას.

პრაქტიკაში იყო შემთხვევები, როდესაც “კეთილსინდისიერების,” როგორც პრინციპის, გამოყენება პრობლემატური გახდა. თუმცა, ეს არ გამხდარა ამ პრინციპის დანერგვის დაბრკოლება. სასამართლოს უჭირს კეთილსინდისიერების განმარტება, თუმცა ეს ფაქტი იურიდიული ტერმინების ბუნებიდან გამომდინარეობს და არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ თვითონ მედიაციის განმარტების დილემაც არსებობს.

მიუხედავად იმისა, რომ გამოითქვა აზრი კეთილსინდისიერება შეცვლილიყო “მინიმალური რაციონალური თანამონანილეობის კონცეფციით”,⁴ ან, უბრალოდ, თანამონანილეობით,⁵ ამ ტერმინთა განმარტებაც საკმაოდ ძნელი აღმოჩნდა. საბოლოოდ, მიუხედავად იმისა, რამდენად ზუსტი იქნება განმარტება, კეთილსინდისიერების ცნება გამოიწვევს მედიაციისა და სამართლებრივ დავაში მისი გამოყენების უფრო ღრმა და საფუძვლიან განხილვას. ეს შეიძლება ის შემთხვევაა, როდესაც უშუალოდ დანახვით ხვდები მის არსს.⁶

ზოგიერთი შიშობს, რომ კეთილსინდისიერების საჭიროების დანერგვა მედიატორის მხრიდან გამოიწვევს კომპრომისზე იძულებით წასვლას, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს დაკავშირებულია კონფიდენციალურობასა და ნეიტრალურობასთან. კეთილსინდისიერება სუბიექტურია და ზოგჯერ ეს შეიძლება მედიატორისთვის მძიმე იყოს, თუმცა არცთუ ისე მძიმე იმასთან შედარებით, თუ რამხელა ტვირთია მედიატორისთვის მხარეების მიერ პროცესის ბოროტად გამოყენება. დღესდღეობით ჩვეულებრივი ამბავია, რომ ერთ-ერთი მხარე არ ესწრება მედიაციის პროცესს. სასამართლოს უფლება აქვს, მიიღოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენად ასრულებენ მხარეები დავის მედიაციის გზით გადაწყვეტის სავალდებულობის მოთხოვნას. შესაბამისად, მხარის მხრიდან კეთილსინდისიერების პრინციპის უგულებელყო-

⁴ Edward F. Sherman, *Court-Mandated Alternative Dispute Resolution: What Form of Participation Should Be Required?*, 46 SMU L. Rev. 2079, 2096 (1993)

⁵ IOWA CODE ANN. §654A.11(3) (1995); *ob. Graham v. Baker*, 447 N.W. 2d 397 (1989).

⁶ *Jacobellis v. State of Ohio*, 378 U.S. 184, 197 (1964).

ფის შესახებ სასამართლოსათვის შეტყობინება შეიძლება განვიხილოთ როგორც სასამართლოსათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების გაფართოება.

ვემხრობი იმ აზრს, რომ მედიატორის ფუნქციები უნდა შემცირდეს, თუმცა, მიუხედავად ამისა, ვთვლი, რომ მედიატორის პროფესიული ვალია, გაავლოს ზღვარი და აკონტროლოს პროცესი. მედიატორის ფუნქციაა ისიც, რომ აწონ-დაწონოს და შეაფასოს, თუ რამდენად კეთილსინდისიერები არიან პროცესში მონაწილე მხარეები. სპეციალური დირექტივების დადგენა და ობიექტური მსჯელობა დაეხმარება მედიატორს იმის დადგენაში, შეასრულეს თუ არა მხარეებმა საჭირო მოთხოვნები.

თეორეტიკოსები და პრაქტიკოსი იურისტები მტკიცედ დგანან იმ აზრზე, რომ მედიაციის პროცესი უნდა იყოს კონფიდენციალური, მაგრამ, როგორც ყველაფერი ამ ცხოვრებაში, მედიაციის პროცესის მარეგულირებელი წესებშიც არის გამონაკლისები, მაგალითად, მედიატორი არ არის ვალდებული დაიცვას კონფიდენციალურობა, როდესაც საქმე ეხება ადამიანის უსაფრთხოებას ან სიცოცხლეს.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამონაკლისი უნდა არსებობდეს, რადგან მედიაციის დროს კომუნიკაციის არარსებობა მხარის არაკეთილსინდისიერების დამამტკიცებელი საბუთია. მედიატორები, სავარაუდოდ, არ იქნებიან კონფიდენციალურობის პრინციპიდან გამონაკლისის რეალობაში გამტარებელნი, ისინი არც სასამართლოში მოწმედ გამოცხადების იდეას მიესალმებიან.

ერთი ვარიანტი არის ის, რომ მედიატორმა დაადასტუროს, იყვნენ თუ არა მხარეები კეთილსინდისიერნი, ან წარმოადგინოს წერილობითი მოხსენება, რომელიც აღწერს მხარეთა ქცევას. მაგალითად, მინესოტაში მედიატორი ფიცით აძლევს წერილობით ჩვენებას.⁷ ამ შემთხვევაში, მედიატორს ენიჭება გადაწყვეტილების მიმღების როლი, რაც მოქმედებს მის ნეიტრალურობაზე, თუმცა, ეს ალბათ მოხდება მედიაციის დამთავრების შემდგომ. ალტერნატიული ვარიანტის მიხედვით, მედიატორმა უნდა აცნობოს სასამართლოს, რა მოხდა და რა არ მოხდა მედიაციის პროცესის დროს და სასამართლო თავად მიიღებს გადაწყვეტილებას, იყვნენ თუ არა მხარეები კეთილსინდისიერნი მედიაციის პროცესში. თუ საჭირო გახდა, ორივე შემთხვევაში სასამართლო აწესებს სანქციებს.

მედიატორის უფლების შეზღუდვით, გამოვიდეს მოწმედ და დირექტივებით წინასასამართლო განცხადებების დაშვების შესახებ, იზღუდება გამონაკლისები კონფიდენციალურობის პრინციპიდან. შეიძლება ითქვას, რომ კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევის გამონაკლისებით შექმნილ სირთულეს ასეთი ვალდებულების დადებითი მხარეები გადაწონის.

3. თანმდევი სამართალწარმოება, ეთიკური დაძაბულობა (უხერხულობა) (ETHICAL TENSION)

არსებობს საფრთხე, რომ მედიაციაში კეთილსინდისიერების პრინციპის დანერგვით თანმდევი სამართალწარმოება ამუშავდება.

პარადოქსული იქნება, თუ პროცესი, რომელიც შეიქმნა სამართალწარმოების ადმინისტრირების გასაადვილებლად და მის შესამცირებლად, შექმნის თავის სპეციალურ არასასიამოვნო და მომაბეზრებელ პრაქტიკას. სპეციფიკური წესების კრებული იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს კეთილსინდისიერების პრინციპი, ისევე როგორც ამ პრინციპთან შეუსაბამობის შემთხვევაში დაწესებული მიზანშეწონილი სანქციები, ამცირებს პოტენციალს, თუმცა თანმდევი სამართალწარმოება მთლიანად აცილებადი არ არის და, ფაქტობრივად, სხვა კონტექსტში უკვე მოქმედებს მედიაციაში. მიუხედავად ამისა, კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვის მომგებიანობა იმ საქმეების უმრავლესობაში, რომლებიც, თავის მხრივ, მედიაციაში პოზიტიურად წარმოჩინდებიან, გადაწონის თანმდევი სამართალწარმოების პოტენციურ ზიანს.

⁷ MINN. STAT. ANN. §583.27 (West 1996).

შესაძლოა იურისტებმა განიხილონ მედიაში კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენება უკვე დამკვიდრებულ ეთიკურ მოვალეობებთან კონფლიქტში. ადვოკატები აღნიშნავენ, რომ მონინალმდევე მხარესთან შეხვედრა, საქმეზე ერთობლივად მუშაობა შეთანხმების მისაღწევად წარმომადგენლისთვის, არაეთიკურია.

მეორე მხარესთან მოსალაპარაკებლად ნებაყოფლობით ერთ მაგიდასთან დაჯდომა სისუსტედ აღიქმება. სასამართლო პროცესში წარმომადგენლობის სტანდარტის არჩევას ადვოკატები ხშირად ყოყმანობენ, ითანამშრომლონ სხვებთან პრობლემების გადაჭრის კრეატიული გზების ძიების მცდელობაში.

ტულანის სამართლის სკოლის დეკანმა, ედუარდ ფ. შერმანმა ხაზი გაუსვა ჩვენი სამოქალაქო სამართალწარმოების სისტემის ღირებულებებს იმის მტკიცებით, რომ აღნიშნული ფასეულობები გამოყენებული უნდა იქნეს ამ სისტემის ფარგლებში არსებულ სხვა ალტერნატივებთან ერთად. ეს განცხადება, სავარაუდოდ, ეფუძნება დავის ალტერნატიული გადაწყვეტის, როგორც მეთოდის, გამოყენებას, რათა სამართალწარმოებისას მიღწეულ იქნეს სადავო საკითხის მოგვარება და, შესაბამისად, ნებისმიერი დავის რეგულირება უნდა შეესაბამებოდეს მის კონტექსტს – სასამართლოს.⁸ შესაძლებელია, ეს ღირებულებები აღნიშვნის ღირსი იყოს სამართლებრივ სისტემაში, მაგრამ არ ვარ დარწმუნებული, რომ ისინი უთუოდ საჭიროა ალტერნატივების კონტექსტში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ჩარევამ შეიძლება გამოიწვიოს ალტერნატივების არათუ ცვლილებები, არამედ მოსპობაც კი.

სწორედ ეს არის მიზეზი, თუ რატომ გვჭირდება ახალი ეთიკური ვალდებულებების დადგენა. კეთილსინდისიერება მოლაპარაკებისას (თავისუფლად) შეიძლება დაუპირისპირდეს დავის შეჯიბრებითობის პრინციპით გადაჭრის მოდელს.⁹ XXI საუკუნეში არც სასამართლო პროცესი და არც სასამართლო დარბაზი არ იქნება დავის გადაწყვეტის პარადიგმა. ამიტომ სამართალწარმოების ახალ და ალტერნატიულ მეთოდებთან ერთად, ჩვენ უნდა შემოვიღოთ ეთიკის ახალი წესები.

კეთილსინდისიერების პრინციპის დანერგვამდე აუცილებელია მისი ზუსტი და კონკრეტული განმარტების შემუშავება. აქამდე არსებული კეთილსინდისიერების ღირებულებების კრიტიკა ეფუძნება ობიექტური სტანდარტების ნაკლებობას და იმას, რომ კეთილსინდისიერებისა და არაკეთილსინდისიერების დემონსტრირება დამოკიდებულია კონკრეტული პიროვნების (ვილაციის) შეხედულებაზე. ამიტომ, აუცილებელია ისეთი ობიექტური სტანდარტების არსებობა, რომლებიც არ იქნება დამოკიდებული შემოთავაზებების შინაარსზე.

ჩემი აზრით, კეთილსინდისიერება მონანილეობის წესს უფრო ეხება, ვიდრე მის შინაარსს. კეთილსინდისიერების დაცვის მოთხოვნა არსებითად მნიშვნელოვანი ნახალისებაა მხარეებისა და მათი წარმომადგენლებისათვის, რომ მაქსიმალური ძალისხმევა გამოიყენონ მედიაში პროცესში. კეთილსინდისიერება არ გულისხმობს, რომ მხარეები ვალდებული არიან, გადაჭრან მათ შორის არსებული დავა და, რა თქმა უნდა, არ უნდა იქნეს გამოყენებული, რათა აიძულოს მხარეები, მოაგვარონ საკითხი ნებისმიერი ეკონომიკური საფუძველიდან გამომდინარე.

ასევე, (მხარის) არაკეთილსინდისიერების მტკიცება არ შეიძლება ეფუძნებოდეს მოლაპარაკების კონკრეტულ შინაარსს. ეკონომიკური ასპექტები, თვით შეთავაზებები და პასუხები, შეიძლება არ იყოს საკმარისი არაკეთილსინდისიერების დასასაბუთებლად.

⁸ Sherman, supra note 5, at 2082.

⁹ Robert J. Condlin, Bargaining in the Dark: The Normative Incoherence of Lawyer Dispute Bargaining Role, 51 MD. L. REV. 1 (1992); Jonathan M. Hyman, Trial Advocacy and Methods of Negotiation: Can Good Trial Advocates Be Wise Negotiators?, 34 U.C.L.A. L. REV. 863 (1987).

4. შემოთავაზებული მიდგომა

წინამდებარე შემოთავაზებული ფაქტორები შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს კეთილსინდისიერების მავალდებულებელ წესსა თუ დებულებაში.

მხარეები საწყის ეტაპზე მედიაციის პროცესზე მომზადებული უნდა გამოცხადდნენ. კერძოდ, უნდა იცოდნენ როგორც საქმის ფაქტობრივი გარემოებები, ისე დავის გადაჭრის შესაძლო გზები, ამასთან, უნდა გაითვალისწინონ მეორე მხარის ინტერესები. გადანყვეტილების მიღების პროცესში მონაწილე ყველა პირი რეალურად უნდა ესწრებოდეს მედიაციას და არა ტელეფონის საშუალებით.

საქმესთან ან კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით, გადამწყვეტია ღია და გულწრფელ დისკუსიაში ისეთი ჩაბმა, რომელმაც შეიძლება გამოავლინოს ერთი მხარის პოზიცია სხვების მიმართ. მხარეებმა თავი უნდა შეიკაონ კონკრეტულ და პირდაპირ კითხვაზე ცრუპასუხის გაცემისგან და ზოგადად შეცდომაში არ უნდა შეიყვანონ მეორე მხარე. ასევე, მნიშვნელოვანია მზადყოფნა პროცესის სხვა მხარეთა მოსმენისათვის და მათი როგორც პოზიციის, ისე ინტერესის გაგების მცდელობის დემონსტრირება. ადვოკატები მზად უნდა იყვნენ, განიხილონ არა მხოლოდ მათი კლიენტის პრობლემები და ინტერესები, არამედ მოუსმინონ ინფორმაციას პროცესის სხვა მონაწილეთა სადავო საკითხებისა და ინტერესების შესახებ. მედიაციის პროცესის ნაწილია ასევე მხარეთა პოზიციების დეტალური განხილვა და იმის ახსნა, თუ რატომ იქნა კონკრეტული წინადადება შემოთავაზებული ან უარყოფილი.

მაგალითად, ხშირად, “ხისტმა” მომლაპარაკებელმა არც კი იცის ის მიზეზი, რომელიც დგას მისი ნათქვამის თუ მისი მკაცრი პოზიციის უკან. ეს უბრალოდ ნასწავლი ტექნიკაა, იყოს მტკიცე (შეუპოვარი).¹⁰ კეთილსინდისიერება ასევე გულისხმობს მედიაციის პროცესზე “სალი აზრით” მისვლას. ეს არ წარმოადგენს მაინცდამაინც აზრის შეცვლის დაპირებას, არამედ მზადყოფნას, იყო გახსნილი სხვებისათვის.

5. შეუმჩნეველი ზღვარი

მართალია, ზოგიერთმა შეიძლება იფიქროს, რომ ზღვარი „სალი აზრსა“ და აზრის შეცვლას შორის ძალიან ვიწროა, მაგრამ ყურადღება უნდა გამახვილდეს ინფორმაციაზე. ერთი მხარე შეიძლება არ დაეთანხმოს მეორეს, მაგრამ უნდა შეეცადოს, გაითვალისწინოს სხვათა მოთხოვნები, ან, სულ მცირე, მაშინვე არ უარყოს სხვა პიროვნების სათქმელი.

ადვოკატები დამატებით სახელმძღვანელო პრინციპებს იყენებენ, როგორცაა კლიენტისათვის საშუალების მიცემა, უშუალოდ მეორე მხარესთან ან მედიატორთან განიხილოს საკითხი. აქცენტი კვლავ მოდავე მხარეებს შორის ინფორმაციის თავისუფლად გაცვლაზეა, რაც მედიაციის პროცესში მონაწილეობისა და კომუნიკაციის დამახასიათებელი აუცილებელი ნიშანია.

კეთილსინდისიერება, მისი დაკანონების შემთხვევაში, მსგავსად სხვა სასამართლო თუ იურიდიული წესისა, უნდა იყოს განხორციელებადი (აღსრულებადი). სანქციები არ უნდა იყოს არც გადამეტებული და არც უმნიშვნელო. რაციონალური სანქცია შეიძლება შეიცავდეს: მედიაციის პროცესის ხარჯებს; მეორე მედიაციის პროცესში კეთილსინდისიერი მონაწილეობის შესახებ ბრძანების ხარჯებს თანმდევი შედეგებით, მაგალითად, მეორე მედიაციის პროცესის ხარჯებს დამატებული ადვოკატების მომსახურების ხარჯები; ან იურისტებისათვის მოლაპარაკებასთან და მედიაციასთან დაკავშირებული იურიდიული განათლების კურსზე ან სამუშაო შეხვედრაზე დასწრება.

¹⁰ Craver Ch. B., *Effective Legal Negotiation and Settlement* 109-110 (2nd 1993). იხ. ასევე, *Williams G. R.*, *Legal Negotiation and Settlement* 49-51 (1983).

ასეთი სანქციები, რომლებიც არ არის ზედმეტად სადამსჯელო, შეასრულებს არაკეთილსინდისიერების შემაკავებლის როლს და ეფექტურად შეუწყობს ხელს მედიაციის პროცესში გააზრებულ მონაწილეობას. ალტერნატიული გამოსავალია პროცესში არაკეთილსინდისიერი მონაწილეობით მიყენებული ზიანის ანაზღაურების გათვალისწინება ხელშეკრულებაში.

ასევე მოვითხოვ, რომ კეთილსინდისიერება იყოს ყოვლისმომცველი და თითოეული მედიაციის პროცესის შემადგენელი ნაწილი, განურჩევლად კონტექსტისა. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახეზე გვექნება ორმაგი სტანდარტი, სადაც მედიაციას ერთ შემთხვევაში ექნება ერთი მნიშვნელობა, ხოლო მეორე შემთხვევაში – სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ კეთილსინდისიერება ყველა მედიაციის პროცესის შემადგენელ აუცილებელ ნაწილს წარმოადგენს, ალბათ, კეთილსინდისიერების მოთხოვნა, პირველ რიგში, დადგინდება სასამართლოსთან დაკავშირებული მედიაციის პროცესის წარმართვისათვის. ასეთ შემთხვევებში, მხარეებსა და პროცესზე კონტროლი უფრო მეტია. კეთილსინდისიერების იმპლემენტაციის შემდეგ მისი დაცვა მოეთხოვება ყველა მონაწილეს და არა მხოლოდ იურისტებს. თუმცა, რეალობა გვიჩვენებს, რომ ადვოკატის მართვის ალბათობა უფრო დიდია, ვიდრე მონაწილის ქცევისა.

კეთილსინდისიერების პრინციპი შეიძლება დადგინდეს კანონმდებლობით, სასამართლო წესით, იურისტთა ქცევის წესებით ან მედიაციის პრაქტიკაში წარმოშობილი ნორმებით. მედიაციის პროცესის მნიშვნელოვანი მოთხოვნაა მონაწილეებს კეთილსინდისიერების აუცილებლობის შესახებ ეცნობოთ მედიაციამდე. ამიტომ, კეთილსინდისიერების ელემენტი უნდა იყოს თვითონ მედიაციის პროცესის განმარტებისა და შინაარსის განუყოფელი ნაწილი.

დამკვიდრებული პრაქტიკით, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც არ არსებობს კეთილსინდისიერების მოთხოვნა, მიღებულია, რომ მედიატორი შესავლის გაკეთებისას მხარეებს უთითებს (პროცესში) კეთილსინდისიერად მონაწილეობის ვალდებულებაზე. მედიატორები, ზოგადად, აღნიშნულს მოითხოვენ ყველა მონაწილისაგან, მათ შორის მოდავე მხარეებისაგან, ასევე, მათი წარმომადგენლებისაგან ან მოლაპარაკების აგენტებისაგან, რომლებიც, როგორც წესი, იურისტები არიან. მედიაციაზე შეთანხმების ხელმოწერა, რომელიც შეიცავს კეთილსინდისიერების დებულებას, არის ჩვეულებითი ხასიათის.

6. სასამართლოს ინფორმირება

პროცედურულად, სასამართლოსთან დაკავშირებული მედიაციის კონტექსტში იძულება შეიძლება ნაკარნახევი იყოს სასამართლოს მიერ. სხვა შემთხვევაში, მედიატორი განახორციელებს კეთილსინდისიერების იძულების მოვალეობას, თუ არ არსებობს დაუსრულებელი სასამართლო პროცესი. ასეთ შემთხვევაში, თითოეულ მედიატორს აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, თავისი შეხედულებისამებრ აირჩიოს კეთილსინდისიერების ვალდებულების განხორციელების გზა. როდესაც სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, იყო თუ არა სახეზე კეთილსინდისიერება, მედიატორმა მხოლოდ კონკრეტული ინფორმაციის მიწოდება უნდა უზრუნველყოს სასამართლოსთვის. იმ საკითხების ჩამონათვალი, რომელიც შეესაბამება ობიექტურ კრიტერიუმს, შეიძლება გადაეცეს სასამართლოს.

მედიაციის პროცესში კეთილსინდისიერი ქცევის გასაღები არის განათლება. როდესაც მედიაციის მონაწილეებმა, მოდავე მხარეებმა თუ წარმომადგენლებმა, არ იციან პროცესის, მისი თეორიის, მიზნების და ამოცანების შესახებ, არც შესაბამისი მოლოდინი არსებობს. სხვა შემთხვევაში, პროცესი უფრო რთულია, ვინაიდან, მონაწილეები მოდიან არარეალური მოლოდინით მედიატორის როლსა და შესაძლო შედეგებთან დაკავშირებით. მოლაპარაკების ან მედიაციის შეთავაზება დამატებითი ინფორმაციის მიწოდების ან მიმართულების მიცემის გარეშე, როგორც ამას არაერთი სასამართლო აკეთებს, უშედეგოა. პირველი ნაბიჯი ქცევის შესაცვლელად განათლებაა. ამჟამად, საზოგადოება არ იცნობს მედიაციას და საგანმანათლებლო

პროგრამები უნდა გაგრძელდეს. უფრო მეტიც, ყოველი მედიაციის წინ კონკრეტული საგანმანათლებლო პროცესი უნდა ჩატარდეს.

კეთილსინდისიერება ერქმევა მას, “შინაარსიანი მონაწილეობა“ თუ სხვა მსგავსი ტერმინი, აუცილებელია ზომების მიღება, რომელიც მოითხოვს კონკრეტული ქმედების განხორციელებას მედიაციის პროცესის ხელის შეწყობის მიზნით. აუცილებელია ასეთი ვალდებულების იმპლემენტაცია სასამართლო წესით, კანონმდებლობით ან ეთიკის კოდექსით. ამასთან, კეთილსინდისიერების მოვალეობა უნდა ვრცელდებოდეს როგორც მხარეებზე, ისე მათ წარმომადგენლებზე.

ვინაიდან ადვოკატების კონტროლი ნაკლებად რთულია და მათი ქმედებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მედიაციის პროცესზე, ამიტომ ცვლილება სწორედ აქედან უნდა დაიწყოს. იურისტებმა აჩვენეს პროცესის მართვის აუცილებლობა წესებისა და სტანდარტების შემოღებით. მაგრამ ამჟამად მოქმედი წესები არ არის მიზანშეწონილი დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ზოგიერთი ფორმისათვის, განსაკუთრებით მედიაციისათვის. თუ მედიაცია უნდა გადარჩეს როგორც მნიშვნელოვანი, უნიკალური პროცესი ისეთი დამახასიათებელი თვისებებით, რომლებმაც იგი აქციეს მხარის დამაკმაყოფილებელ პროცესად, მაშინ მედიაციაში მონაწილეთა ქცევის პრაქტიკა უნდა შეიცვალოს. კეთილსინდისიერების მოთხოვნა არის ერთ-ერთი შემთავაზება და სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი. გზა არ იქნება მარტივი, თუმცა, სწორედ მოკლე გზის გავლამ საწყის ეტაპზე შეიძლება მთელი რიგი ცვლილებები გამოიწვიოს.¹¹

ინგლისურიდან თარგმნეს:

რუსუდან თვაურმა და თამარ ქენქაძემ

¹¹ Apologies to Robert Frost

THE GLOBAL MEDIATOR - BIRTH OF A CONCEPT

Thoughts Following the International Mediation Conference in Moscow

The world is round - a geophysical fact, well known for centuries.

The world is flat - a socio-economical notion, rapidly emerging in the world of business and politics as the result of technological progress and breakthroughs in communications and global availability of information.

Evidently, as the global village is constantly shrinking, people, corporations and states are well aware of the actions and overall conduct of their counterparts worldwide. Thus, an atmosphere of long-range visibility is like that of a flat world in which all is seen and heard - everywhere and at all times.

In such a business and political reality, proper conduct has immediate value resulting from the self-virtue of positive public relations. International corporations currently share a popular view that their actions are globally scrutinized and that they are subsequently judged not only by the outcome or financial value of business but also by the way business is actually conducted. Included in the scope of business conduct are the methods of choice for resolving disputes with colleagues, customers, suppliers, business partners and other counterparts.

In this reality, the development of alternative dispute resolution (ADR) techniques was brought forth, including the refinement of the art of mediation. Based on the principle of internalized decision making, these methods are necessary for modern-world business and politics since they require the parties to take responsibility for the actions and circumstances leading to the dispute as well as the consequences of its resolution. Additionally, internalized decision making empowers the parties, giving them control over the dispute resolution process and its outcome. This will be further specified in detail.

The need for ADR was also due to legal systems and alternative tribunals having become increasingly unable to properly cope with the demand for efficient and constructive dispute resolution. First, the incapacity of publicly funded systems to adequately render services is a severely growing phenomenon in all fields, including judicature, not only in the developing

world but also in most countries of the western world. Second and more importantly, courts-of-law, arbitrators, professional counsels and other tribunals - each with their general or idiosyncratic character of dispute resolution - all suffer from inherent disadvantages of third parties supplying externalized decision making to the parties of a dispute.

External decision makers (historically, tribe elders and later courts of law) rose as part of sovereign systems and were accepted by most of the public not only on the basis of subordination but also in general convenience. External decision making is an attractive option to parties in conflict because it exempts them from the need to directly communicate and spend the necessary intellectual and emotional resources on the personal interaction required for an internalized decision process. Nevertheless, parties are ultimately weakened by external decision makers, required to subordination and having certain elements of the dispute disregarded, usually social and emotional elements that go to the root of the relationship between the parties and subsequently the dispute itself. Furthermore, decision makers commonly isolate a conflict from the whole relationship between the parties, thus lowering the levels of creative options and of constructive resolution.

Private individuals might take part in few disputes that require assistance in resolution, they are less aware of the distinction between externalized and internalized decision making and take less heed to their respective consequences. On the other hand, large companies and business corporations are regularly involved in multiple

disputes with a variety of parties, in several places and on different scales of severity and urgency. Such organizations therefore systematically seek to minimize points of conflict with their various counterparts and to improve both the mechanisms by which their disputes are handled and resolved and the prospective outcome of these resolutions. It has been widely accepted that ADR, specifically mediation, is "the right way to go" in many cases throughout the business world, the constructive avenue and the ultimate choice for those who wish to maintain long term successful business relations, both domestic and worldwide, and more importantly maintain a positive reputation.

As the name suggests, mediation is a dispute resolution process in which parties are assisted by a mediator to re-internalize their decision making when direct interactions of the parties failed. In mediation, the parties are the decision makers, captains navigating their ships and the mediator is a guide, a lighthouse illuminating the uncharted seas of dispute and marking the rocky coasts for the parties to avoid. The mediator is thus required to be attentive to parties' interests, perceptive of their own misperceptions and worthy of their trust in order to safely guide them to what they will ultimately define as the best solution to their conflict.

The mediation profession has evolved together with the parties whom it serves and has adapted to their requirements.

As stated above, the major adaptation required from mediators in business disputes during the past two decades is that of globalization. Just like in business itself, there has been a dramatic increase in the number of international disputes in business and commerce. Current conflicts between large scale business organizations are growing less and less confined to one country since most concerns span the globe with their managements, production centers, suppliers of materials and knowledge, consumer markets etc. Furthermore, within our shrinking world, business globalization has become a goal for many companies and corporations. When disputes arise, companies are globally expected to internalize their resolution and this process calls for the assistance of new-&-improved mediators - people who not only have the basic mediation qualifications but also have exceptional inter-personal abilities, high awareness and sensitivity to a variety of nuances, proven professional experience and subsequently the ability to successfully implement their refined techniques in a variety of cultures, languages and locations.

These are the Global Mediators

Business empires embarking on international enterprises will succeed as long as they uphold globally accepted standards of conduct, including conflict management. We believe countries and empires should acknowledge ADR as a leading philosophy and mediation as a preferred method for dispute resolution when determined to participate in the global economy.

Following the 2010 international mediation conference in Moscow, where the concept was first introduced, we hereby present global mediation as a leading method adapted for dispute resolution in the new global economy.

Global Mediation and the Global Mediator

In this chapter we lay out the fundamentals of global mediation. We explain the inter- personal principle, how it governs local and global connections and disputes and we describe some characteristics we find to be essential in the global mediator.

The Inter-personal Principle

Technological advancements of the past century, mostly in computing, media and communications, gradually increased the accessibility of and to people in a growing number of locations around the globe, leading to the current multitude of personal interactions occurring in a growingly visible world.

Thus, technology has "flattened" the world, making more information more available to more people, and has also connected it, allowing many new parties to communicate quickly and easily and to form many new relationships, either for a short or long term.

Nevertheless, no matter how much technology has promoted accessibility of people to each other and to new connections, the essence of these connections is first and foremost that of personal relations. So, be it business, politics, science, sports, journalism, humanitarian aid or any other nature of global connection, people are still the performers of this connection. What determines whether a connection is actually formed and if so what will be its character and its ultimate fate? It is the parties' ability to communicate, not technologically but inter-personally; it is the way they send and receive a message, the way they react to each other's messages and their subsequent behavior.

The inter-personal principle governs both local and global connections, creating an inherent difference between them caused by (lack of) familiarity. A local connection is typically formed by parties which are familiar with each other's background, customs, tradition and mentality; which know the basic "rules-of-engagement" and have some experience in practicing them; which ultimately require little preparation for communication per se and can focus on the objectives of their sought connection. A global connection, in contrast, is typically formed by unfamiliar parties and is characterized by a cautious approach, possibly suspicious, requiring the parties to apply themselves in the act of communication in order for it to facilitate a successful connection formation and subsequent objective achievement. Parties to a potential global connection are often faced with barriers of language, culture, law, customs, mentality, prejudice and more; they must overcome these barriers before dealing with their objectives. Once formed, maintaining a local connection is similarly less complex than a global connection, for the same reasons.

The inter-personal principle is also key to understanding disputes arising from global connections. No matter how distant the connecting parties are geographically, no matter what means of communication they use, they are essentially conveying inter-personal messages at different levels. This connection may include a dispute and when it arises, it too is governed by inter-personal behavior, i.e. communicative action and reaction that direct the development of the dispute - either to subside or to escalate, either to resolve or to reach a dead end. Global connections are at higher risk of dispute escalation on account of the inter-personal communication difficulties described above.

A working hypothesis in the ADR field is that parties to a dispute basically wish to resolve it quickly and efficiently so that their connection can resume on a productive path. Just as forming a connection, maintaining it and reaching a dispute are all driven by inter-personal communication, so is dispute resolution which is just as strongly affected by the uniqueness of a global connection and how it differs from a local one.

Mediating Global Disputes

Mediation is a distinct inter-personal process, and as such it takes place in a given personal reality and is directly affected by it. In this discussion, the term 'reality' will stand for the overall circumstances related to or resulting from personal characteristics of the people involved in the mediation process, either directly or indirectly. These may be the mediated parties, mediators, interpreters, advisors and any other person affecting the state of mind of a mediation participant. The inter-personal principle described above is valid also in comprehending the reality in which mediation of a dispute takes place, locally and globally.

A given reality in which a local dispute occurs is mostly similar for all disputes in that locale, usually familiar to all participants and relatively simple to comprehend by a mediator operating in that given environment. The reality in a given location where mediation processes take place is similar and successful local mediators are required to be familiar with that reality, highly aware of its social nuances and have the inter-personal abilities that are adaptive to that locale.

Global disputes inherently span the globe and subsequent mediation processes are obviously not defined by a specific reality for they involve participants from at least two locations that are characterized by separate realities, differing slightly at best and greatly in most cases. Global mediators operate

in what may be defined as a 'chaotic reality', affected by more than one set of personal networks and thus rarely constant, experiencing more changes and at a faster rate.

Since being fluent in multiple realities is at best challenging for the most talented person, successful global mediators must have a personality that is highly adaptive to various realities; it combines flexibility of both mind and spirit, developed listening capabilities, modesty and inner peace, perhaps even serenity. These personal characteristics, together with extensive professional and life experience, facilitate a state of mind that is personally receptive and reality-adaptive.

The global mediator is not expected to fully comprehend the realities in which the parties exist but rather to assume a certain level of ignorance and adjust the methodology and approach accordingly. The objective is to transcend reality variations and render them irrelevant to the mediation process, as much as possible, thus minimizing the negative effect of inter-personal barriers. An important exception to this is of course identification of inter-personal barriers that are at the root of the dispute itself and that must be comprehensively understood and dealt with by the parties as an integral part of the mediation. A global mediator should be open-minded enough to distinguish between the two kinds of inter-personal barriers and deal with them separately; this is true for a local mediator as well albeit without the inherent 'chaotic reality' predicament.

As we shall discuss in further detail, the global mediator can utilize several tools that assist in coping with the 'chaotic reality':

- Trustworthiness - a primary trait and a tool that assists in depressurizing the atmosphere of the complex situation of global mediation. Earning the trust of mediation participants is important for any mediator but is especially crucial when tackling global inter-personal challenges. Trust alleviates the tension caused by inter-personal barriers and facilitates high levels of cooperation; this includes the mediator identifying the decision maker in each of the parties, securing his trust and gradually spreading it between the parties, directly. Also, the global mediator processes large amounts of information, related both to the dispute and to the international parties, and trust usually leads to a hi-fidelity transfer of information, allowing the mediator to focus on content rather than quality.

- The interpreter - an invaluable aid of the global mediator since overcoming language barriers (sometimes more than one), wholly and efficiently, is key to his success. It is not enough to literally understand the parties but also to identify context and subtext in order to truly comprehend their position and focus their interests. This can only be done with the assistance of an interpreter that is not only top-professional but also highly committed to the process, is not bound by local custom and is aware of important distinctions made by a mediator listening to his parties. The importance of choosing an interpreter cannot be overrated and the global mediator must have a reliable method of doing so in order to obtain truly constructive interpretation with the mediation participants.

- Flexibility - a general term applicable to many aspects in a person, a definite requirement for the global mediator who must often confront people of various cultures and religions considerably distant from his own. A flexible mediator is open minded and accepting; he listens better and doesn't let his judgment to be clouded by prejudice. He sees through what people are and focuses on what they want, how they can best achieve it and most important

- how they express their intentions and beliefs and how they should be properly understood.

Milestones in Global Mediation

Methodical Adaptation of the Classic Model

Initiation

Being a voluntary process, mediation is generally initiated by approaching the mediator. This can be done jointly by parties-in-dispute, usually by their representatives; by one of the parties seeking assistance from the mediator in contacting the other party/parties; by a tribunal, in which the parties are engaged in

proceedings, that urges or refers them to attempt mediation. Global mediation is generally initiated the same way only that tribunals are rarely involved and the mediator is approached on the basis of reputation. Global mediators therefore tend to be internationally renowned for their experience in mediation or as top professionals in the relevant field; they may be famous in the general public, in business, legal or other circles.

